

## რომის სამართალი-მეორე შუალედური

1 ქულიანი ღია ტესტები:

1. Iურა ინ რე ალიენა (სერვიტუტემ) რომის სამართალში განმარტებულია, როგორც:  
სხვისი ნივთით სრული ან ნაწილობრივი სარგებლობის უფლება

2. განმარტეთ შუცექსიო ეს ტესტამენტო (ტესტამენტარია) ცნება:

ანდერძით მემკვიდრეობა, ანდერძის არსი მამკვიდრებლის მონაცემების გარკვევა  
იყო. ანდერძში ქონების მფლობელი ასახელებდა მემკვიდრეს, პირს ვის უნდა  
გადასცემოდა მისი ქონება ამ პირის გარდაცვალების შემდეგ.

3. რომის სამართალში საკუთრების უფლება განმარტებულია, როგორც:

ნივთის გამოყენებისა და განკარგვის შეუზღუდავი შესაძლებლობა. ნივთზე კერძო  
მესაკუთრის უფლება უცხო პირების ჩარევას გამორიცხავდა.

4. (32) განმარტეთ სუფრუცეტუს-ის რომის სამართალში დამკვიდრებული ცნება:

უზუფრუქტი სხვისი ნივთით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული უფლება  
იყო. პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზუფრუქტური  
ეწოდებოდა; მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც (უტი) და მისი ნაყოფითაც (ფრუ),  
ოდონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის  
უფლება არ უნდა დაერღვია.

5. შუცექსიო აბ ინტესტატო-ს შემთხვევაში, პრეტორი -  
ბონორუმ პოსესიონალებიდრეთა რამდენ რიგს ადგენდა?

7 რიგს.

1- გარდაცვლილის როგორც სუი შვილები (ლიბერი), ასევე ემანციაპირებული დვიძლი  
შვილები განეკუთვნებოდნენ, ასევე ისინი, ვინც, დაბადების შემდეგ, რომის  
მოქალაქეობა იმპერატორის გადაწყვეტილებით მოიპოვა.

2- მემკვიდრეთა მეორე რიგს ლეგიტიმი ეწოდებოდა; იუს ცივილე-ს მიხედვით, მათი უფლება აგნატების მემკვიდრეობის ტოლფასი იყო.

3- მესამე რიგის მემკვიდრეებს განეკუთვნებოდნენ დგიძლი ნათესავები (ცოგნატი) მეშვიდე თაობის ნათესაობამდე.

4- მეოთხე რიგს განეკუთვნებოდნენ გააზატებულის პატრონის მეუღლე და მისი შვილები

5- მეხუთე რიგის მემკვიდრეობას მიეკუთვნებოდა გააზატებულების (ლიბერტი) მემკვიდრეობა ბონორუმ პოსსესიო, რომელსაც პატრონის პატრონი (თუ კი ასეთი პირი არსებობდა) იღებდა.

6- მემკვიდრეების მექქსე რიგს ცოცხლად დარჩენილი მეუღლე განეკუთვნებოდა.

7- პრეტორული მემკვიდრეების მეშვიდე რიგს შეადგენდნენ პატრონის ნათესავები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ გააზატებულის ბეითალმან ქონებაზე.

6. რომის სამართალში კანონით მემკვიდრეობის საკითხი დადგებოდა მაშინ, როდესაც:

როდესაც პირი გარდაიცვლებოდა ისე, რომ მას ანდერძით ქონება არავისთვის დაუტოვებია ან თუ ანდერძი არის ბათილი.

## 7. განმარტეთ რომის სამართალში

არსებული თანასაკუთრების (ცომმუნიო, ცონდომინიუმ) ცნება:

ერთსა და იმავე ნივთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლება. ნივთის ერთობლივი მფლობელობა და სარგებლობა.

## 8. ნივთის მფლობელობა არის:

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა.

## 9. განმარტეთ ემანციპატიო-ს ცნება:

ემანციპაცია იყო წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შვილების ან შვილიშვილების გათავისუფლება მამის ხელისუფლებიდან. ვაჟიშვილის შემხვევაში, ემანციპაცია სამჯერ გამოიყენებოდა, ქალიშვილის მიმართ მხოლოდ ერთხელ.

10. დაასახელეთ აიუს-ის მიერ აღნიშნული, იუსგენტიუმ-ით დადგენილი საკუთრების უფლების შეძენის გზები:

ოკუპაცია, დამზადება, გადამუშავება, განძი

11. ჩამოთვალეთ რომის სამართალში დამკვიდრებული ოს სახეები:

დოს პროფეცტიცია - ოჯახის უფროსისაგან მიღებული მზითევი

დოს ადგენტიცია - მესამე პირისაგან მიღებული მზითევი

დოს რეცეპტიცია, დოს ნონ რეცეპტიცია.

12. რას ნიშნავდა რეპუდიუმ-ი?

განქორწინებას ან ნიშნობის ჩაშლას ცალმხრივი ნებით.

13. დაასახელეთ რომის სამართალში მოქმედი მემკვიდრეობის (სუცეესსიო)სახეები:

განასხვავებდნენ 1. უნივერსალურ მემკვიდრეობას და 2. სინგულარულ მემკვიდრეობას, ასევე მემკვიდრეობის გადაცემის მიხედვით - კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა.

14. დაასახელეთ რომის სამართალში მოქმედი ქორწინების შეწყვეტის გზები:

ივორტიუმ - განქორწინება ორმხრივი ნებით, რეპუდიუმ - განქორწინება ცალმხრივი ნებით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება, ერთ-ერთი მეუღლის მიერ თავისუფლების დაკარგება.

15. დაასახელეთ რომის სამართალში მოქმედი საკუთრების უფლების შეზღუდვის წესები:

1. რელიგიური მოსაზრებით, 2. სამშენებლო ნორმების დაცვის აუცილებლობით, 3. საზოგადოებრივი გზების გაყვანის აუცილებლობით, 4. ზღვის ნაპირზე მდებარე მიწის ნაკვეთების მიმართ დადგენილი შეზღუდვა შეუფერხებლად გაეტარებინათ საკუთარ ტერიტორიაზე მეზღვაურები და მეოუგზები, 5. მიწის წიაღის სარგებლობის მოტივით, 6. საზოგადოებრივი აუცილებლობით განპირობებული ექსპროპრიაცია და ნებაყოფლობითი შეზღუდვა

16. ჩამოთვალეთ რომაული ქორწინების ფორმები:

სრულუფლებიანი და არასრულუფლებიანი, სრულუფლებიანი ქორწინება ორი სახის იყო: ქორწინება ქმრის ხელისუფლებით და ქმრის ხელისუფლების გარეშე.

17. დაასახელეთ რეს მანციპი-ს შეძენა-გასხვისების გზები:

მანციპირებული ნივთების საკუთრებაში გადასასვლელად საჭირო იყო სპეციალური საზეიმო რიტუალის ჩატარება, რადგან ასეთი ნივთების შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშვებოდა მხოლოდ მანციპაციით ან ნივთის დათმობით მაგისტრატის წინაშე.

18. დაასახელეთ ძველი რომის სამართალში მოქმედი ქორწინების სახეები:

სრულუფლებიანი და არასრულუფლებიანი, სრულუფლებიანი ქორწინება ორი სახის იყო: ქორწინება ქმრის ხელისუფლებით და ქმრის ხელისუფლების გარეშე.

19. დაასახელეთ აიუს-ის მიერალნიშნული, იუს ცივილე-თი დადგენილისაკუთრების უფლების წარმოშობის გზები:

მანციპაციით, მაგისტრატის წინაშე დათმობით და სანდაზმულობის ვადით.

20. ეგატუმ ეწოდებოდა:

ანდერმით მოანდერდეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერმო დანაკისრი (ლეგატუმ) ეწოდებოდა.

21. რას ნიშნავდა ცონტუბერნიუმ -ი?

მონა-მამაკაცისა და მონა-ქალის კავშირი, რომელიც ფაქტობრივ, თუმცა იურიდიულად აკრძალულ თანაცხოვრებად განიხილებოდა.

22. განმარტეთ რომის სამართალში არსებული საკუთვნებლის ცნება:

საკუთვნებელი იყო ისეთი ნივთი, რომელიც ძირითად ნივთს არა მატერიალურად, არამედ ეკონომიკურად უკავშირდებოდა. საკუთვნებელი დამოუკიდებლადაც არსებობდა, ოდონდ სამეურნეო (ეკონომიკური) შედეგი ორივეს (ძირითადი ნივთისა და საკუთვნებლის) ერთად გამოყენებით მიიღებოდა.

23. ჩამოთვალეთ რომის სამართალში არსებული საკუთრების უფლების სახეები:

კვირიტული, პერეგრინების, პროვინციული, პრეტორული და იუსტინიანეს სამართლით

24. იგესტა Iუსტინიანი-ში ლპიანუს ფიდეიკომისების შესახებ ამბობდა:

ფაქტობრივად გათანაბრებულია ლეგატთან, მაგრამ მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

25. რას ნიშნავდა ადოპტიო შვილად აყვანა?

დოპტიო მაგისტრატების ნებართვით დაიშვებოდა და სხვის ხელისუფლებაში მყოფი პირის ერთი ოჯახიდან მეორეში გადასვლა გულისხმობდა.

26. რა შემთხვევა ჰქონდა ადგილი ცონცუბინატუს?

როდესაც ქალსა და მამაკაცს რაიმე კანონიერი დამაბრკოლებელი გარემოების გამო დაქორწინება არ შეეძლოთ. მაგალითად, ქორწინების უფლების (იუს ცონცუბიი) არქონა, სოციალური უთანასწორობა.

27. დაასახელეთ აიუს-ის მიერ აღნიშნული, იუს ნატურალუ-თი დადგენილი საკუთრების უფლების შემენის გზები:

ოკუპაცია, ნაყოფი და გადამუშავება

28. შეპერფიციეს რომის სამართალში განმარტებულია, როგორც:

შენობასთან ერთად, სხვისი მიწით სარგებლობის (სუპერფიციუმი) უფლება. ეს იყო განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა, რომლითაც იგულისხმებოდა სხვის მიწაზე აშენებული ნაგებობის ხანგრძლივად სარგებლობის უფლება;

29. ვინ იყო Iუს ცონუბიი-ს სუბიექტი?

ამ უფლებით მხოლოდ რომაელი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ხოლო უცხოელები (პერეგრინი) ამგვარი უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობდნენ, თუ მათ მას საგანგებოდ მიანიჭებდნენ.

30. განმარტეთ რომის სამართალში არსებული პერეგრინების საკუთრების უფლება:

მათ საკუთრების უფლება მხოლოდ მოძრავი ნივთების ბრუნვის სფეროში ჰქონდათ. უცხოელებისათვის საკუთრების შეძენის უფლება მხოლოდ პერეგრინების პრეტორის ედიქტით დაიშვებოდა. უცხოელები მხოლოდ მფლობელობით ინტერდიქტებს სჯერდებოდნენ. დომინიუმ-ის (ნივთზე საკუთრების უფლება)მფლობელობა მათ არ შეეძლოთ.

31. განმარტეთ რომის სამართალში დამკვიდრებული საკუთრების უფლების შინაარსი:

ნივთის გამოყენებისა და განკარგვის შეუზღუდავი შესაძლებლობა. ტი ნივთიდან რაიმე სარგებლის მიღების უფლება, ფრუი ნაყოფის მიღების უფლება , ჰაბერე რეალური შედეგის მქონე ფლობა, პოსსიდერე ნივთის ფაქტობრივი ფლობის ვითარება, რომელსაც პრეტორი იცავდა.

32.(4) რას ნიშნავდა უსუფრუცეტუს?

უზუფრუცეტი სხვისი ნივთით სარგებლობის უველაზე გავრცელებული უფლება იყო.[[პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზუფრუცეტუარი ეწოდებოდა; მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც (უზი) და მისი ნაყოფითაც (ფრუ), ოღონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის უფლება არ უნდა დაერღვია.]]

33. განმარტეთ ცნება – რომაული ქორწინება პატრილოკალური იყო:

34. რომის სამართალში რა შემთხვევაში დგებოდა კანონით მემკვიდრეობის საკითხი?

როდესაც პირი გარდაიცვლებოდა ისე, რომ მას ანდერმით ქონება არავისთვის დაუტოვებია ან თუ ანდერმი არის ბათილი.

35. დაასახელეთ წილის ის სახეობა, რომელიც თითოეულ თანამესაკუთრებულ გამოყოფოდა, თანასაკუთრების განაწილების დროს?

იდეალური წილი

36. რომაელი იურისტის ლორენცინუს-ის აზრით, ეგატუმ არის:

ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს

2. ქულიანიტერმინებისგანმარტება:

1. (14) რეს მანციპი - ტერმინით რეს მანციპი აღინიშნებოდა ის ნივთები, რომლებიც მანციპაციის აქტს (მანციპიუმ) ექვემდებარებოდა, ეს იყო უძველესი რიტუალი, რომელიც ტარდებოდა ასეთ ნივთების საკუთრებაში გადასასვლელად.

მანციპირებადი ნივთების შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ნივთებს განეკუთვნებოდა იტალიის მიწაზე არსებული მამულები, სახლები, ასევე სასოფლო მამულებზე ფეხით ან სატრანსპორტო საშუალებით გავლის, პირუტყვის გადარეკის, წყლის მილების გაყვანის უფლებები; მონები და ის ოთხფეხა ცხოველი, რომელიც მოვინიერებულია და მიჩვეული უნაგირის დადგმას ან უდელში შებმას.

2. რეს ეხტრა ცომმერციუმ - ბრუნვიდან ამოღებული ნივთები, ასეთ ნივთებს მიეკუთვნებოდა 1. ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და მთელი სიმდიდრე; 2. საჯარო ნივთები; ამ ნივთების ერთ-ერთი და ძირითადი მეპატრონე იყო რომაელი ხალხი; 3. საერთო საზოგადოებრივი გამოყენების ნივთები (გზები, მდინარეები); 4. საკულტო ნივთები (საცრუმ). გვ. 163

3. ეს ტესტამენტი - ანდერმით მემკვიდრეობა, ანდერმის არსი მამკვიდრებლის (დეცუიუს) მონაცვლის გარკვევა იყო. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში,

მისი ქონება გადაეცემოდა იმ პირს, ვისაც მამკვიდრებელი ანდერძში დაასახელებდა მემკვიდრედ. გვ. 156

4. ლეგატუმ - საანდერძო დანაკისრი, ანდერძით მოანდერძეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) ეწოდებოდა. თუ საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) მემკვიდრის დასჯას ისახავდა მიზნად, მაშინ ის ბათილდებოდა. ფლორენტინუსის აზრით, „ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მოიღებს. გვ. 157-158

5. დომინიუმ ეხ იურე უირიტიუმ - ცივილური, კვირიტიული საკუთრების უძველეს სახეს დომინიუმ ეხ იურე უირიტიუმეწოდებოდა. კვირიტიული სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლება (დომინიუმ ეხ იურე უირიტიუმ) ჰქონდათ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და რეს ცომმერციის მქონე პირებს. ასევე, საჭირო იყო, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობა ჰქონოდა ნივთსაც. ასეთი ნივთები, პირველყოვლისა, იყო რეს მანციპი, კვირიტიული საკუთრების შეძენის უძველესი წესი იყო მანციპაცია - გვ. 177

6. უპტიაე - ქორწინება, რომის სამართალში ქორწინების ორი ოფიციალური განსაზღვრება იყო. კერძოდ, 1.ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, დვთიური და ადამიანური სამართლის ერთობა და 2. ქორწინება (ნუპტიაე) ანუ ცოლქმრობა (მატრიმონიუმ) არის მამაკაცის და ქალის კავშირი, რომლის არსი ერთობლივ ცხოვრებაში მდგომარეობს. გვ. 125-126

7. იუს ცონუბიი - კანონიერ ქორწინებაში შესვლის უფლება; დასაქორწინებელ პირებს რომაული სამართლით აღიარებული ქორწინების უფლება ანუ იუს ცონუბიი უნდა ჰქონოდათ; ამ უფლებით მხოლოდ რომაელი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ხოლო უცხოელები (პერეგრინი) ამგარი უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობდნენ, თუ მათ მას საგანგებოდ მიანიჭებდნენ. გვ. 126

8. რეს იმმობილეს - უძრავი ნივთები; უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთი და მიწის წიაღი, არამედ მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის

შრომით შექმნილი სიკეთე, რომელიც მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად ითვლებოდა. გვ. 167

9. სუცესიონ ლეგიტიმა - მონაცეველობა კანონის ძალით, კანონიერი მონაცევლეობა; ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა სამემკვიდრეო მონაცევლეობის უძველესი ფორმა იყო, იგი რეგულირდებოდა XII დაფის კანონით, ამიტომაც მას კანონიერ მონაცევლეობას უწოდებდნენ. გვ. 153 ბოლოდან მე-2 აბზაცი

10. დივორტიუმ - განქორწინება ორმხრივი ნებით. რომის სამართლის თანახმად, ქორწინების შეწყვეტა დაიშვებოდა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით და მას დივორტიუმ ეწოდებოდა. გვ. 138

11. რეს სუა ინ ბონის - ბონიტარული ანუ პრეტორული საკუთრება. საკუთრების აღნიშნული კატეგორია წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, როცა პრეტორი ცივილური მესაკუთრის სარჩელისაგან საკუთარი სარჩელით იცავდა იმ პირს, რომელმაც მანციპირებადი ნივთი შეიძინა და აღნიშნული ნივთის გადაცემა მანციპატიო ან ინ იურე ცესიონ-ს ფორმების დაუცველად მოხდა. გვ. 178

12. ინ სინგულას რეს - სინგულარული მემკვიდრეობა, როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მხოლოდ იმ უფლებების ნაწილს, რომელიც მანამდე მის წინამორბედს ეკუთვნოდა. გვ. 151

13. ადროგატიო - თავისუფალი პირის შვილად აყვანა. შვილების ძველი ფორმა იყო ადროგატიო, რომლის დროსაც ოჯახის მამა სხვა ოჯახის მამის ხელისუფლებაში გადადიოდა და მისი უფლებამოსილებაც სრულად ხვდებოდა მშვილებლის ხელში. გვ. 136

14. (1) რეს მანციპი - ტერმინით რეს მანციპი აღინიშნებოდა ის ნივთები, რომლებიც მანციპაციის აქტს (მანციპიუმ) ექვემდებარებოდა, ეს იყო უძველესი რიტუალი, რომელიც ტარდებოდა ასეთ ნივთების საკუთრებაში გადასასვლელად. მანციპირებადი ნივთების შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ნივთებს განეკუთვნებოდა იტალიის მიწაზე არსებული მამულები, სახლები, ასევე სასოფლო მამულებზე ფეხით ან სატრანსპორტო საშუალებით გავლის,

პირუბეჭვის გადარეკის, წყლის მიღების გაყვანის უფლებები; მონები და ის თხევება ცხოველი, რომელიც მოთვინიერებულია და მიჩვეული უნაგირის დადგმას ან უდელში შებმას.

15. ბონორუმ პოსექსიო - პრეტორული ედიქტით განსაზღვრული სამკვიდრო. უნივერსალური ურთიერთობაპრეტორული სამართლის საფუძველზე ხორციელდებოდა ანდერძის გარეშე. პრეტორმა სამკვიდრო ქონების მფლობელობაში შეიყვანა ის პირებიც, ვისაც იუს ცივილე-ს მიხედვით, სამკვიდრო უფლებები არ გააჩნდა. პრეტორის დასმული შეკითხვის პასუხად, მოსარჩელენი პრეტორული მემკვიდრეობას უანდერძოდ (ქუორუმ ბონორუმ) იდებდნენ ინტერდიქტით, რომლითაც სხვა, მესამე პირებისაგან მემკვიდრეობის გამოთხოვა შეეძლოთ.
16. ცოემპტიო - საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა. ძველი რომაული ტრადიციის თანახმად, ქორწინება რამდენიმე სახის რიტუალის დაცვით ტარდებოდა. რესპუბლიკის პერიოდისათვის ნიშანდობლივი იყო საპატარძლოს სიმბოლური ყიდვა (ცოემპტიო), რასაც წინ უსწრებდა ან მოსდევდა ქორწინებაზე თანხმობა.
17. ინ იურე ცესიო - ნივთის დათმობა მაგისტრატის წინაშე. მანციპირებადი ნივთების (რეს მანციპი) საკუთრებაში გადასასვლელად აუცილებელი იყო ან მანციპაციის რიტუალის ჩატარება ან მისი დათმობა მაგისტრატის წინაშე (ინ იურე ცესიო).
18. ოცუპატიო - იყო ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ყველაზე ძველი და უნივერსალური საშუალება, რომელსაც რომაელი იურისტები იუს გენტიუმ-ის ინსტიტუტად მიიჩნევდნენ. ოცუპატიო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ნივთი არავისი კუთვნილება არ იყო. ოცუპატიო შემდეგი საშუალებებით ხორციელდებოდა: ა) გარეულ მხეცებზე, ფრინველებზე ნადირობა და თევზაობა, ბ) მოწინაამდეგისათვის წართმეული სამხედრო ნადავლი; გ) ზღვაში ამოზიდული კუნძული და ზღვის მიერ ნაპირზე გამორიყული ნივთები; დ) უწინდელი მესაკუთრის მიერ გადაგდებული ნივთები – ბეითალმანი ქონება.

19. იურე ინ რე ალიენა - სანივთო უფლებები სხვის ნივთზე. უფლებები, რომელთა ობიექტი სხვისი ნივთები იყო. ასეთი იყო მაგ: სერვიტუტი, სუპერფიციუმი, ემფითევზისი, გირავნობა.

20. იუსტუმ მატრიმონიუმ - კანონიერი ქორწინება, რომლის დროსაც, იუს ცივილე-თი ორივე მხარეს კანონიერი ქორწინების (იუს ცონცუბი) უფლება მოეთხოვებოდა. კანონიერი ქორწინების შედეგად შობილი ბავშვები მამის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ და იურიდიულად სხვის ხელისუფლებაში მყოფ პირებად მიიჩნეოდნენ;

21. მჰკიტეუსის - ემფითევზისი არის სხვისი მიწის ნაკვეთით (გამონაკლის შემთხვევაში ნაგებობით) სარგებლობის და ამ ნაკვეთიდან ნაყოფის მიღების სრული სანივთო, სამემკვიდრეო და გასხვისებადი უფლება. სხვისი მიწის დამუშავების უფლება.

22. ცონფარრეატიო - ქორწინების საზეიმო რიტუალი. ძველი რომაული ტრადიციის თანახმად, ქორწინება რამდენიმე სახის რიტუალის დაცვით ტარდებოდა. უძველესი პერიოდის რომში არსებობდა საზეიმო რელიგიური რიტუალი – ცონფარრეატიო, რომელსაც ათი ქურუმი აღასრულებდა და მხოლოდ პატრიციებისათვის იყო ნებადართული. რიტუალის დროს საპატარძლო და საქმრო წმინდა პურს ტეხდნენ და ქურუმების მითითებებს ასრულებდნენ.

23. რეს დივინი იურის ეტ რეს ჰუმანი იური - ნივთები ძირითადად ორ კატეგორიად იყოფოდა: ღვთაებრივი სამართლის ნივთებად (რეს დივინი იურის) და ადამიანთა სამართლის ნივთებად (რეს ჰუმანი იურის). ამა თუ იმ ნივთის ღვთის კუთვნილებად აღიარებით, აღნიშნული ნივთი თავისუფალი ნების ქმედების სფეროს აღარ განეკუთვნებოდა და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოიღებოდა. ხოლო რეს ჰუმანის იურის განკარგვა კერძო პირებს თავისუფლად შეეძლოთ.

24. სუფრუცეტუს - უზუფრუქტი სხვისი ნივთით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული უფლება იყო. პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზუფრუქტუარი ეწოდებოდა; მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც (უტი) და მისი ნაყოფითაც (ფრუ), ოდონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის უფლება არ უნდა დაერღვია.

25. უსუს - სხვისი ნივთით შეზღუდული მოცულობით სარგებლობის უფლების ფორმას უსუს ეწოდებოდა. ასეთ მოსარგებლეს ნაყოფიდან იმდენი ეძლეოდა, რამდენიც მას ესაჭიროებოდა საკუთარი მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად. მოსარგებლეს არც თავისი უფლების სხვისთვის გადაცემა შეეძლო და არც ამ უფლების სხვისთვის გაყოფა. მოსარგებლეს უფლება ჰქონდა სარგებლობის უფლება თავისი ახლობლებისათვის მიეცა. მოსარგებლის მოვალეობები არ იყოფოდა.

26. ცომმუნიო (ცონდომინიუმ) - თანასაკუთრება. საკუთრების უფლების განსაკუთრებულობა რომაელ იურისტებს აიძულებდა ერთსა და იმავე ნივთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლება დაეშვათ. მათ აღიარეს თანამესაკუთრეთა თანამფლობელობის უფლება ანუ ნივთის ერთობლივი მფლობელობა და ნივთით სარგებლობა.

27. გენს ეტ სპეციეს - ენუს - გვარობითი ნივთები, სპეციეს - ინდივიდუალურად განსაზრებული ნივთები. სპეციეს - თავისთავად დირებული ნივთები (რეს მანციპი და საავტორო ნაკეთობები) და გენერა - ის ნივთები, რომელთა დირებულება, მათი გვარისა და ოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა (ფული, მასობრივი წარმოების ნივთები, ნედლეული).

## 5 ქულიანი თემები: ესსეები

1. ნივთების კლასიფიკაცია რომის სამართლის მიხედვით - ნივთები ძირითადად ორ კატეგორიად იყოფოდა: დვთაებრივი სამართლის ნივთებად (რეს დივინი იურის) და ადამიანთა სამართლის ნივთებად (რეს ჰუმანი იურის). ამა თუ იმ ნივთის დვთის

კუთვნილებად აღიარებით, აღნიშნული ნივთი თავისუფალი ნების ქმედების სფეროს აღარ განეკუთვნებოდა და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოიღებოდა.

რომაელები განასხვავებდნენ წმინდა ნივთებს (რეს საცრაე) და სათაყვანებელ ნივთებს (რეს რელიგიოსაე). საჯარო გადაწყვეტილების საფუძველზე, ნივთების პირველი კატეგორია დვთაების კუთვნილად მიიჩნეოდა, ხოლო მეორე კატეგორიას განეკუთვნებოდა ისეთი ნივთები, რომლებიც, ადამიანის საქმიანობით, სათაყვანებელ ადგილებად (რელიგიოსუს ლოცუს) მიიჩნეოდა, ანუ ეს იყო წინაპართა საფლავები. ნივთის წმინდა (საცრა) ნივთად აღიარებისათვის მხოლოდ კერძო ინიციატივა არ კმაროდა, ხოლო ნივთის სათაყვანებლად (რელიგიოსაე) აღიარება კი მხოლოდ კვირიტულ მესაკუთრეს (დომინუს) შეეძლო. დვთაებრივი სამართლის ნივთების (რეს დივინი ოურის) მხოლოდ საკრალური სამართლით (იუს საცრუმ) რეგულირებას ექვემდებარებოდა, სამოქალაქო სამართლის ნორმები მახვე არ ვრცელდებოდა.

ნივთების ამ კატეგორიათა პარალელურად არსებობდა რეს პრივატა, ანუ ის ნივთები, რომელთაც საზოგადოების წევრები კერძო პირთა სახით ფლობდნენ.

ბრუნვიდან ამოდებული ნივთები (რეს ეხტრა ცომმერციუმ) 1. ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და მთელი სიმდიდრე; 2. საჯარო ნივთები; ამ ნივთების ერთ-ერთი და ძირითადი მეპატრონე იყო რომაელი ხალხი; 3. საერთო საზოგადოებრივი გამოყენების ნივთები (გზები, მდინარეები); 4. საკულტო ნივთები (საცრუმ).

უძველესი რომაული სამართლით, ქონება გამიჯნული იყო ორ სახედ – ფამილია და პეცუნია. ამილია-თი ოჯახის უფროსის (პატერფამილიას) ხელისუფლებას დაქვემდებარებული ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე მოიაზრებოდა. ეცუნია (პეცუს – პირუტყვი) განეკუთვნებოდა ნივთა ის კატეგორია, რომელიც სამართლებრვი აქტების ობიექტი იყო.

მანციპირებადი და არამანციპირებადი ნივთები (რეს მანიციპი ეტ რეს ნეც მანიციპი). ტერმინით რეს მანციპიალინიშნებოდა ის ნივთები, რომლებიც მანციპაციის აქტს (მანციპიუმ) ექვემდებარებოდა. ასეთი ნივთების შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე (ცივეს) შეიძლება ყოფილიყო. რაც შეეხება არამანციპირებადი ნივთებს (რეს ნეც მანციპი), მათი გასხვისება, მათზე საკუთრების უფლების შემძენის მიზნით, მარტივი მფლობელობის გადაცემით (ტრადიტიონ) ხდებოდა.

სპეციეს – თავისთავად ლირებული ნივთები (რეს მანციპი და საავტორო ნაკეთობები) და გენერა – ის ნივთები, რომელთა ლირებულება, მათი გვარისა და ოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა (ფული, მასობრივი წარმოების ნივთები, ნედლეული).

მოძრავი და უძრავი ნივთები (რეს მობილეს ეტ რეს იმმობილეს), უძრავ ნივთებს განეკუთვნებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთი (პრაედია, ფუნდი) და მიწის წიაღი,

არამედ მიწის ზედაპირზე სხვისი ან მესაკუთრის შრომით შექმნილი სიკეთე, რომელიც მიწის ზედაპირის ხელოვნურ ან ბუნებრივ ნაწილად ითვლებოდა. მოძრავი ნივთები (რეს მობილეს ან პერ რე მოვენტის) ავეჯი, საყოფაცხოვრებო საგნები, მონები, ცხოველები იყო.

განასხვავებდნენ გაყოფად და გაუყოფად ნივთებს. გაყოფადი იყო ისეთი ნივთები, რომელთა გაყოფის შედეგად მათი გვარი (გენს) და ფასეულობა არ იცვლებოდა. მხოლოდ სამართლებრივი გაყოფის შესაძლებლობისას დაიშვებოდა ნივთის ნატურალური გაყოფა ყოფილ თანამესაკუთრეთა შორის. მეორე შემთხვევაში ნივთი ერთ-ერთ მათგანის საკუთრებაში რჩებოდა, ხოლო დანარჩენი პირები ფულად კომპენსაციას იღებდნენ.

გამოყენებადი იყო ისეთი ნივთი, რომელიც, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, პირველივე მატერიალური გამოყენების შემდეგ ნადგურდებოდა. გამოყენებადი იყო ისეთი ნივთი, რომელიც გამოყენების შედეგად არ ნადგურდება.

მარტივი იყო ისეთი ნივთი, რომელიც მატერიალურად ერთ მთლიანობას ქმნიდა. რთული იყო ისეთი ნივთი, რომელიც შედგება ერთმანეთთან მატერიალურად დაკავშირებული სხვადასხვა ელემენტისაგან, რომელთაც ერთი მთლიანი ნივთის სახელი ჰქონდათ.

დამატებით ნივთად (რეს აცცესსორიუმ) ითვლებოდა ისეთი ნივთი, რომელიც ძირითად ნივთზე გარკვეული წესით დამოკიდებული და მისგან იურიდიულად დამოუკიდებული იყო. დამატებითი ნივთის ყველაზე გავრცელებული სახე იყო ნაყოფი, ნივთის ნაწილი და საკუთვნებელი. ნივთის ნაწილი დამოუკიდებელი გარიგების საგანი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მისი მთლიანი ნივთისაგან განცალკევება შეიძლებოდა.

2. რომაული ქორწინება, მისი სახეები და ნამდვილობის პირობები - ოჯახის შესაქმნელად დადგენილი იყო გარკვეული წინაპირობა. კერძოდ: 1. ქორწინების უფლება. დასაქორწინებელ პირებს რომაული სამართლით აღიარებული ქორწინების უფლება ანუ იუს ცონტბილი უნდა ჰქონდათ; ამ უფლებით მხოლოდ რომაელი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ხოლო უცხოელები (პერეგრინი) ამგვარი უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობდნენ, თუ მათ მას საგანგებოდ მიანიჭებდნენ; 2. ნათესაური (როგორც აგნატური, ისე კოგნატური) კავშირის არქონა. ქორწინება ეკრძალებოდათ: ა. ერთი ოჯახის უფროსის (პატერფამილიას) ხელისუფლებაში შემავალ პირებს და ბ. მეურვესა და მეურვეობაში მყოფ პირებს; 3. მექორწინეთა ასაკი. რომში ქორწინებები ძალიან აღრეულ ასაკში ხდებოდა. ჩვეულებრივ, ქალიშვილებისათვის საქორწინო ასაკად 12 წელი, ხოლო ვაჟებისათვის 14 წელი იყო დადგენილი.

რომაელები ქორწინების ორ სახეს – სრულუფლებიან და არასრულუფლებიან – ქორწინებას განასხავებდნენ. სრულუფლებიანი ქორწინება მხოლოდ რომაელ მოქალაქეთათვის იყო ნებადართული; აღნიშნული ტიპის ქორწინება ორი სახისა იყო: 1. ოუცოდი ქმრის ხელისუფლებაში გადადიოდა, 2. ოუიგი მამის ხელისუფლებაში რჩებოდა.

ძველი რომაული ტრადიციის თანახმად, ქორწინება რამდენიმე სახის რიტუალის დაცვით ტარდებოდა.

რომში არსებობდა ქორწინების განსაკუთრებული სახე კონკუბინატი (ცონცუბინატუს), ანუ ბუნებითი ქორწინება, რომლის შედეგადაც შობილ პირებს ბასტარდები ანუ ბუნების შვილები ეწოდებოდათ. ეს იყო არა შემთხვევითი კავშირი, არამედ ქალისა და მამაკაცის ხანგრძლივი თანაცხოვრება, რომელიც არ პასუხობდა ქორწინების კანონიერ მოთხოვნებს ანუ როდესაც მათ რაიმე კანონიერი დამაბრკოლებელი გარემოების გამო დაქორწინება არ შეეძლოთ. მაგალითად, ქორწინების უფლების (იუს ცონჯბი) არქონა, სოციალური უთანასწორობა (მაგალითად, ქორწინება სენატორსა და გააზატებულს შორის, თავისუფალ რომაელ მოქალაქეს „უდირსი საქციელის“ ქალზე დაქორწინება ეკრძალებოდა) და სხვა.

3. ჩონდომინიუმ (ცომმუნიო) - თანასაკუთრება. საკუთრების უფლების განსაკუთრებულობა, რომაელ იურისტებს აიძულებდა ერთსა და იმავე ნივთზე რამდენიმე პირის საკუთრების უფლება დაეშვათ. მათ აღიარეს თანამესაკუთრეთა თანამფლობელობის უფლება ანუ ნივთის ერთობლივი მფლობელობა და ნივთით სარგებლობა. ნაყოფიც მათ მიერ იდეალური წილებით შეიძინებოდა.

თანასაკუთრების (ცომმუნიო) ვითარება ნებაყოფლობით ან შემთხვევით წარმოიშობოდა. თანასაკუთრების ნებაყოფლობითი წარმოიშობა ამხანაგობის ხელშეკრულების მეშვეობით ან რამდენიმე პირის ნებაყოფლობითი მოქმედებით ხდებოდა, კერძოდ, ეს უკანასკნელნი, თანასაკუთრებაში პროპორციული წილების შეტანით, აერთიანებდნენ საკუთარ ქონებას.

ქონების შემთხვევებითი გაერთიანება (ცომმუნიო ინციდენს) რამდენიმე პირის მიერ ერთი და იგივე ნივთის შეძენის შედეგად ხდებოდა (მემკვიდრეობა ან ლეგატი, ან იმ რამდენიმე ნივთის ფიზიკური შერწყმის შედეგად, რომელთა განცალკევებაც შეუძლებელი იყო).

თანასაკუთრებიდან თითოეულ მესაკუთრეს საკუთარი წილის გასხვისება და დატვირთვა შეეძლო.

თანასაკუთრების გაყოფისას, თანამესაკუთრეთა წილები მოსამართლეს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო გამოეყო, მაგრამ გაყოფადი ნივთი სამართლიან ფასად უნდა შეეფასებინა.

4. შუცცესიონ აბ ინტესტატო-ს ნამდვილობის პირობები და მემკვიდრეთა (პერეს) რიგის

შეცვლა 543 წლის 118 ოველლაჟ Iუსტინიანი-სმიხედვით.

სამემკვიდრეო მონაცვლეობის უძველესი ფორმა, მემკვიდრეობა ანდერმის გარეშე (აბ ინტესტატო) იყო, რომელიც XII დაფის კანონებით რეგულირდებოდა, რის გამოც კანონიერი მონაცვლეობა (სუცცესიონ ლეგიტიმა) ეწოდებოდა.

კანონით მემკვიდრეობის საკითხი დგებოდა მაშინ როდესაც პირი გარდაიცვლებოდა ისე, რომ მას ანდერმით ქონება არავისთვის დაუტოვებია ან თუ ანდერმი არის ბათილი.

543 წელს 118 ნოველით, კანონთ მემკვიდრეთა (აბ ინტესტატო) ოთხი რიგი დადგინდა: მემკვიდრეთა პირველ რიგს შვილები და მათი დაღმავალი ხაზის ნათესავები (ნათესაობის რიგითობის მიუხედავად) განეკუთვნებოდნენ; მეორე რიგში აღმავალი ხაზის ნათესავები (მშობლები), დვიძლი და-ძმა (მათი შვილები) მოიაზრებოდნენ. თავის მხრივ, აღმავალი ხაზით მემკვიდრეობა მამისა და დედის მხრიდან ნათესაობის მიხედვით იყოფოდა; მემკვიდრეთა მესამე რიგით მოიაზრებოდა ნახევარი და-ძმა და მათი შვილები, რომელთაც, მათი მშობლების ცოცხლად არყოფნის შემთხვევაში, მემკვიდრეებად იწვევდნენ; კანონით მემკვიდრეთა მეოთხე რიგს სხვა სისხლისმიერი ნათესავები განეკუთვნებოდნენ.

5. შუცცესიონ ტესტამენტარია-ს ნამდვილობის პირობები და დადგენის წესები.

ანდერმი იყო პირის ნების სამართლებრივად დადგენილი და საზეიმო ფორმით შედგენილი გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ძალა მოანდერმის გარდაცვალების შემდეგ ენიჭებოდა.

არქაულ პერიოდში, მამასახლისის სურვილი ოჯახის უფროსობა საკუთარი ვაჟიშვილისთვის დაეტოვებინა სახალხოდ გაცხადებას საჭიროებდა, რაც ქურის წმინდა კრებაზე ფორმალურ დადასტურებასა და დამოწმებას ითხოვდა.

კლასიკურ ეპოქაში ანდერძის მესამე სახის – ანდერძი ლიბრალური რიტუალის დასადებად საჭირო იყო ხუთი მოწმე და მესასწორე. აღნიშნული რიტუალის განსახორციელებლად მოანდერძის ის ხელქვეითები (პოტესტას) ან მისი მეგობრები, რომლებიც ოჯახს (ფამილია) იღებდნენ, მოწმეებად არ დაიშვებოდნენ, რადგან ეს აქტი უშუალოდ მონაწილე პირთა ინტერესებს ეხებოდა. ანდერძი იურიდიულ ძალას იძენდა, მაგრამ, ტექსტის გაცხადება არ დაიშვებოდა. ანდერძის ტექსტიანი ფირფიტები ერთად იკვრებოდა და მათ მოწმეთა ბეჭდებს არტყამდნენ. სულ იყო შვიდი ბეჭდები: ხუთი მოწმეების, ერთი ოჯახის მიმღების და ერთიც მაგისტრატის.

ანდერძით მოანდერძეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) ეწოდებოდა. თუ საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) მემკვიდრის დასჯა – (ლეგატუმ პოენაჟ ნომინე (ცაუსა) ისახავდა, მაშინ ის ბათილდებოდა.

## 6. ოსსესსიონ-ს ცნება, სახეები და მისი დაცვის საშუალებები.

მფლობელობა. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობად (პოსსესსიონ) იწოდებოდა.

რომაელები განასხვავებდნენ მფლობელობის ორ სახეობას: მართლზომიერს და არამართლზომიერს. არამართლზომიერი მფლობელობა შეიძინებოდა ძალის მეშვეობით, ფარულად და ფაქტობრივად. მართლზომიერი მფლობელობა განსხვავდებოდა კეთილსინდისიერი მფლობელობისაგან, როდესაც მფლობელი თავს ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევდა, თუმცა, რეალურად, არ უარყოფდა, რომ ნივთის მესაკუთრე არ იყო; მისთვის საფუძველი იყო ის, რომ ნივთის მფლობელობით იგი ზიანს არავის აყენებდა.

რომაელები განასხვავებენ სატიტულო და უტიტულო მფლობელობა, რომელსაც ეწოდებოდა ბუნებრივი მფლობელობა ან პყრობა.

ნივთის ფაქტობრივ ფლობად მფლობელობა (პყრობა) მხოლოდ მაშინ მიიჩნეოდა, თუ წარმოიშობოდა იმ იურიდიული ფაქტის საფუძველზე, რომელიც საკმარისად მიიჩნეოდა მფლობელობის შესაძენად.

რომაელები განასხვავებდნენ საკუთარი სახელით ფლობას და სხვისი სახელით ფლობას.

მფლობელობის დაცვა არა სასამართლო განხილვის ფორმით, არამედ პრეტორის ბრძანებით ხორციელდებოდა. მფლობელობის, როგორც სანივთო უფლების, დაცვის შესახებ ადმინისტრაციული და საპოლიციო საშუალების ერთობლიობაც მოწმობდა.

## 7. საკუთრების უფლების სახეები

- ა) კვირიტული საკუთრება - კვირიტული სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლება ჰქონდათ სრულუფლებიან რომაელ მოქალაქეებსა და რეს ცომმერციი-ის მქონე პირებს. რომაული სამართლის თანახმად, საჭირო იყო, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის პირობა ჰქონოდა ნივთსაც. კვირიტული საკუთრება პირველ რიგში იყო მანციპირებადი ნივთები.
- ბ) პერეგრინების საკუთრება - რომაული სამართლით, მათ საკუთრების უფლება მხოლოდ მოძრავი ნივთების ბრუნვის სფეროში ჰქონდათ. უცხოელებისათვის საკუთრების შეძენის უფლება მხოლოდ პერეგრინების პრეტორის ედიქტით დაიშვებოდა. ომინიუმ-ის მფლობელობა მათ არ შეეძლოთ.
- გ) პროვინციული საკუთრება - პროვინციული მიწაზე რომაელი ხალხის საკუთრება დაპყრობის უფლებას ეფუძნებოდა. პროვინციაში მდებარე მიწის ნაკვეთი რომაელი ხალხის ან კეისრის საკუთრება (დომინიუმ) იყო.
- დ) პრეტორული საკუთრება - საკუთრების აღნიშნული კატეგორია წარმოიშობოდა იმ შემთხვევაში, როცა პრეტორი, ცივილური მესაკუთრის სარჩელისაგან, საკუთარი სარჩელით იცავდა იმ პირს, რომელმაც მანციპირებადი ნივთი შეიძინა. თუმცა, აღნიშნული ნივთის გადაცემა მანციპატიო ან ინ იურე ცესსიო-ს ფორმების დაუცველად მოხდა.
- ე) საკუთრება იუსტინიანეს სამართლით - მიწის ნაკვეთების კვირიტულ და პროვინციულ საკუთრებად დაყოფის გაუქმების შემდეგ, ყოველგვარი გარიგების მიმართ, მიწის ერთიანი საჯარო რეგისტრაცია შემოიღესდა იუსტინიანეს კანონმდებლობით, მხოლოდ კვირიტული საკუთრების უფლება აღადგინეს.

## 8. ოს-ის სახეები და მათი დადგენის წესები.

დოს პროფეციიცია (ოჯახის უფროსისაგან მიღებული მზითევი); დოს ადვენტიცია (მესამე პირისაგან მიღებული მზითევი);

მზითევის ბედი ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში არსებითად მზითევის დაბრუნება-არდაბრუნების პირობის დათქმაზე იყო დამოკიდებული. ასეთი დათქმის არსებობის შემთხვევაში, მზითევს დოს რეცეპტიციაეწოდებოდა და ქორწინების შეწყვეტისთანავე ქმარს მზითევის დაბრუნება (აუცილებელი ხარჯების

გამოკლებით) ევალებოდა. აღნიშნული დათქმის არარსებობის შემთხვევაში კი მზითევს დოს ნონ რეცეპტიციაეწოდებოდა, რის გამოც ქმარს მზითევის დაბრუნება არ ევალებოდა; მაგრამ თუ ქორწინების შეწყვეტა გამოწვეული იყო ცოლის გარდაცვალებით, მაშინ მზითევი – დოს ადვენტიცია – ქმარს რჩებოდა, ხოლო მზითევი – დოს პროფეციცია – (თუ მისი დამდგენი ცოცხალი ადარ იყო) ქმარს რჩებოდა, ხოლო თუ მზითევის დამდგენი ცოცხალი იყო, მაშინ თითოეულ შვილზე ქმარს მზითევის 1/5 წილის გამოქვითვა შეეძლო. თუ ქორწინება ქმრის გარდაცვალებით წყდებოდა, მაშინ მზითევი მხოლოდ ცოლს, ან ცოლსა და მამამისს ორივეს ერთად უბრუნდებოდა.

თუ პატარძალი სხვის ხელისუფლებაში მყოფი (ალიენა იურის) იყო, მაშინ, ჩვეულების თანახმად, მას მზითევს თჯახის უფროსი (პატერფამილიას) აძლევდა.

მზითევის დადგენა შეიძლებოდა სხვადასხვა სახის გარიგებით: გადაცემით, დაპირებით ან საანდერძო დანაკისრით:

1. მზითევის გადაცემა გულისხმობდა წინასწარი დაპირების გარეშე სამზითვო ქონების ქმრისათვის დაუყოვნებლივ გადაცემას; 2. მოგვიანებით, კლასიკურ პერიოდში სამზითვო დაპირება მზითევის დაპირების ან მზითევის დათქმის სახით გაიცემოდა; 3. საანდერძო დანაკისრი. ლეგატი ცოლისათვის იმის განსაზღვრით, რომ გასცეს უარნათქვამი ქონება მზითევად, არ იქნება მზითევის დადგენა, არამედ მხოლოდ საბაბი მის დასადგენად.

## 9. შპონსალიაცნება, არსი და მისი ჩაშლის სამართლებრივი შედეგები

ტრადიციულად, ქორწინებამდე იმართებოდა ნიშნობა (შპონსალია). ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა (ხსენება) და ორმხრივი დაპირება.

თავდაპირველად, ნიშნობა თითოეული დასაქორწინებელი პირის თჯახის უფროსების შეთანხმებით ხდებოდა; მოგვინებით კი, თავად მექორწინეთა თანხმობით. მამის შეწინააღმდეგება ქალიშვილს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მამა მას უდირსი ზნის ან სახელგატებილ საქმროს აურჩევდა.

ნიშნობის დროს საქმროს მხარე საპატარძლოს მხარეს ნიშნობის ბეჭდს და სხვადასხვა სახის მოძრავ ნივთს გადასცემდა.

ნიშნობის ჩაშლა არასასურველი იყო და მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა, კერძოდ: ეს ორი თჯახი ცხადებოდა ცუასი გენტილიტას-ად და მათ შორის ყველანაირი სახის საქორწინო ურთიერთობა 4 თაობის განმავლობაში

აკრძალული იყო. ასევე ჩამჟღელ მხარეს ეკისრებოდა ზიანის ანაძღაურება მეორე მხარისთვის.

#### 10. საკუთრების უფლების დაცვის საშუალებები რომის სამართალში.

საკუთრების უფლების დაცვა სასარჩელო გზით იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, საკუთრების უფლების დაცვა ხდებოდა სავინდიკაციო, ნეგატორული (აცტიო ნეგატორია), მინიჭების შესახებ (აცტიო ეხპიბიტორია) სარჩელებით და აცტიო უბლიციანას მეშვეობით.

ა) დეი ვინდიცატიო-ს მეშვეობით ხდებოდა იმ მესაკუთრის მფლობელობის უფლების დაცვა, რომელსაც მისი ნების საწინააღმდეგოდ, ჩამოართვეს ნივთის ფლობის უფლება. მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას იმ მოპასუხეს უკენებდა, რომელიც უშუალოდ ფლობდა სადაო ნივთს და, თანაც, პრეტორული ინტერდიქტით იყო დაცული. სავინდიკაციო პროცესში მოპასუხეს უკეთესი მდგომარეობა პქონდა, ვბინაიდან სწორედ მოსარჩელეს აწვა მტკიცების ტგირთი იმის თაობაზე, რომ სადაო ნივთზე საკუთრების უფლება მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

ბ) ცტიო ნეგატორია (ნეგატორული სარჩელი). ცივილური მესაკუთრე უფლებამოსილი იყო წარედგინა სანივთო სარჩელების მთელი სერია, რათა უარესო იმ მომიჯნავე უფლებების არსებობა, რომელთა მიზანი იყო ნივთის მიმართ მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კატეგორიის სარჩელები ერთიანი სახელდებით – ნეგატორული სარჩელი (ცტიო ნეგატორია) გაერთიანდნენ. მესაკუთრეს აწვა მტკიცების მოვალეობა იმ ფაქტის მიმართ, რომ ნივთი სწორედ მისი საკუთრება იყო და ადგილი პქონდა ამ საკუთრების უფლების შეზღუდვას ან მისი განხორციელებისათვის ხელისშეშლას.

გ) სარჩელი მინიჭების შესახებ (ცტიო ეხპიბიტორია). პრეტორის მიერ მინიჭებული დაცვის საშუალებით, მოსარჩელე-მესაკუთრეს შეეძლო გამოეთხოვა სადაო ნივთი, რასაც ის სადამართლოში ფიცის წარმოლობით ადასტურებდა და, დამატებით – მოპასუხების ქონების დაყადადება, თუ მოპასუხე უარს ამბობდა სასამართლო დაცვაზე.

დ) აცტიო უბლიციანა. სარჩელის აღნიშნული ნაირსახეობა რეი ვინდიცატი-ს მსგავსი იყო და მის პარალელურად წარედგინებოდა, რადგან მას პრეტორი ბონოტიქარულ მესაკუთრეს ანიჭებდა, დაკარგული მფლობელობის უკან დაბრუნების შესახებ.

11. შუცექსიონ-ს ცნება და მისი სახეები, ძველი რომის სამართლის მოხედვით.

მონაცვლეობა. სამართლის სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონება მემკვიდრეობით სამართლით რეგულირდებოდა. განასხვავებენ 1. უნივერსალურ მემკვიდრეობას, როცა წინამორბედი პირის სამართლებრივი ვითარება მთლიანად სხვა პირზე გადადიოდა და 2. სინგულარულ მემკვიდრეობას, როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მხოლოდ იმ უფლებების ნაწილს, რომელიც მანამდე მის წინამორბედს ეკუთვნოდა.

უნივერსალური ურთიერთობა (ცივილური და პრეტორული სამართლის საფუძველზე) ხორციელდებოდა: 1. ანდერძით (ეს ტესტამენტი), 2. ანდერძის გარეშე (აბ ინტესტატო), 3. ასევე (პრეტორული სამართლით) ანდერძის გარეშე.

12. სუფრუცეტუს ცნება და ნამდვილობის პირობები.

უზუფრუქტი (უსუფრუცეტუს) სხვისი ნივთით სარგებლობის ყველაზე გავრცელებული უფლება იყო. პირს, რომელსაც ასეთი უფლებამოსილება ჰქონდა უზუფრუქტუარი ეწოდებოდა; მას შეეძლო ნივთით სარგებლობაც (უტი) და მისი ნაყოფითაც (ფრუ), ოდონდ ნივთი არ უნდა დაეზიანებინა და არც მისი ნაყოფით სარგებლობის უფლება არ უნდა დაერღვია. ასეთი უფლების მქონეს ისე უნდა ესარგებლა ნივთით, როგორც ეს კარგ, ყაირათიან მეურნეს ეკადრება, ანუ ნივთით სარგებლობის ყველა წესის დაცვით. ბუნებრივი ნაყოფის მოკრეფის მომენტიდან მისი მესაკუთრე-მოსარგებლე (პერცეპტიო) ხდებოდა.

ნივთზე ყველა ხარჯს უზუფრუქტუარი იხდიდა. უზუფრუქტი, იდეალური წილის სახით, რამდენიმე პირის კუთვნილება შეიძლება ყოფილიყო.

მემკვიდრეობით გადაცემასა და გასხვისებას, უზუფრუქტი არ ექვემდებარებოდა. თუმცა, პირადი სარგებლობის (მაგრამ არა უფლების) გასხვისება დასაშვები იყო. უზუფრუქტუარის გარდაცვალების შემდეგ, უზუფრუქტი წყდებოდა და სარგებლობის საგანი მის მემკვიდრეს მესაკუთრისათვის უნდა დაებრუნებინა.

13. დეს მანციპი კატეგორიაში შემავალი ნივთები და მათი შეძენა-გასხვისების წესების მოკლე დახასიათება.

ტერმინით რეს მანციპი აღინიშნებოდა ის ნივთები, რომლებიც მანციპაციის აქტს (მანციპიუმ) ექვემდებარებოდა. ეს იყო უძველესი რიტუალი, რომლის დროს იყენებდნენ სპილენძის ნატეხსა და სასწორს, ხუთი მოწმისა და მესასწორის

თანდასწრებით, პირს, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნივთი რეალურად გადაეცემოდა. ეს იყო ყიდვა-გაყიდვის ერთდღოული აქტი. ნივთის ფასის სანაცვლოდ, გამსხვისებელს გადაეცემოდა ლითონის ზოდი, რომლის ასაწონადაც მესასწორეს უხმობდნენ. თავდაპირველად, გამყიდვლის მიერ გადაცემული ლითონი რეალურად იწონებოდა, მოგვიანებით, ამ რიტუალმა სიმბოლური ხასიათი მიიღო.

კლასიკურ ეპოქაში ამ რიტუალს მანციპაცია ეწოდა. იგი აუცილებელი იყო მანციპირებადი ნივთების (რეს მანციპი) საკუთრებაში გადასასვლელად. ასეთი ნივთების შემძენი მხოლოდ რომის მოქალაქე შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობოდა ან მანციპაციით (მანციპატიო) ან ნივთის დათმობით მაგისტრატის წინაშე (ინ იურე ცესსიო).

მანციპირებადი ნივთებია: იტალიის მიწაზე არსებული მამულები, როგორც სასოფლო მინდვრების სახით, ისე საქალაქო, სახლის სახით; ასევე სასოფლო მამულებზე ფეხით ან სატრანსპორტო საშუალებით გავლის, პირუტყვის გადარეკის, წყლის მილების გაყვანის უფლებები; მონები და ის ოთხფეხა ცხოველი, რომელიც მოთვინიერებულია და მიჩვეული უნაგირის დადგმას ან უდელში შებმას, კერძოდ, კამეჩი, ვირი, ცხენი, ჯორცხენი.

კვირიტული საკუთრების შეძენის უძველესი წესი იყო მანციპაცია, რომლის თანახმადაც, ხუთი მოწმისა და მესასწორის თანდასწრებით, პირს, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნივთი რეალურად გადაეცემოდა. ეს იყო ყიდვა-გაყიდვის ერთდღოული აქტი. ნივთის ფასის სანაცვლოდ, გამსხვისებელს გადაეცემოდა ლითონის ზოდი, რომლის ასაწონადაც მესასწორეს უხმობდნენ. თავდაპირველად, გამყიდვლის მიერ გადაცემული ლითონი რეალურად იწონებოდა, მოგვიანებით, ამ რიტუალმა სიმბოლური ხასიათი მიიღო;

#### 14. შერვიტუტემცნება და ნამდვილობის პირობები.

სერვიტუტი ეწოდებოდა სხვისი ნივთით სრული ან ნაწილობრივი სარგებლობის უფლებას, რომელიც უშუალოდ კონკრეტულ მიწის ნაკვეთს ან კონკრეტულ პირს უკავშირდებოდა სარგებლის მიღების მიზნით.

I. სერვიტუტის შეძენა ხდებოდა რეალური შედეგის მქონე აქტებით, II. სერვიტუტის დადგენის განსაკუთრებული საშუალება გამოიყენებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილის მესაკუთრის შეცვლა ხდებოდა: გამსხვისებელი, რომელსაც საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილზე რჩებოდა (რითაც ის, ფაქტობრივად, ზარალდებოდა), თავის სასარგებლოდ სერვიტუტის დადგენას ითხოვდა; III. ქრ. შობამდე I საუკუნეში სერვიტუტი ხანდაზმულობით (უსუცაპიო) დგინდებოდა; IV. სერვიტუტის მინიჭება სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანასაკუთრების გამოყოფისას.

15. ეგატუმის ცნება, ოდესტინუს ეტ ლორენტინუს მიხედვით და მისი შეზღუდვის წესები.

ანდერძით მოანდერძეს სამკვიდროდან ცალკეული ნივთების მესამე პირებისათვის გადაცემაც შეეძლო. ასეთ განკარგულებას საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) ეწოდებოდა.

მოდესტინუსი, რომლის თანახმადაც, „ლეგატი არის ანდერძით ჩუქება”;

ფლორენტინუსის აზრით, „ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს”.

თუ საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) მემკვიდრის დასჯას ისახავდა მიზნად, მაშინ ის ბათილდებოდა.

16. სასოფლო-საადგილმაჟულო სერვიტუტის ცნება და ნამდვილობის პირობები.

სასოფლო სერვიტუტით მიწის ორი განცალკევებული ნაკვეთი იგულისხმებოდა – ერთი ნაკვეთი ემსახურება მეორეს (ფუნდუს სერვიტ ფუნდა). სასოფლო სერვიტუტის არსი ის იყო, რომ უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: სერვიტუტს უნდა დაეცვა მთავარი ნაკვეთი, რათა მას სარგებელი მოეტანა. მას უნდა დაეტვირთა მთავარ ნაკვეთთან დაკავშირებული ნაკვეთი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი მომსახურება; თუმცა მათ შორის უშუალო შემხებლობა უნდა ყოფილიყო. ამ წესის არსის თანახმად, ნაკვეთები გვერდიგვერდ უნდა ყოფილიყო.

ნაკვეთის გასხვისების ან მისი მემკვიდრეობით გადაცემის მიუხედავად), სერვიტუტი განუყოფადი რჩებოდა და მხოლოდ სასერვიტუტო უფლებები ნაწილდებოდა. თუ მთავარი ნაკვეთი რამდენიმე მემკვიდრეზე გადავიდოდა, მაშინ თითოეულ მათგანს მომსახურე ნაკვეთის შესაბამისი წილით სარგებლობის უფლება ჰქონდა.

17. თუტელა ეტ ცურა დანიშვნის წესები და გაუქმების პირობები.

მზრუნველობა და მეურვეობა. მეურვეობა იყო მზრუნველობა და წარმომადგენლობა, რომელიც სამართლით უწესდებოდა იმ პირს, რომელსაც საერთოდ ან ჯეროვნად არ შეეძლო ზრუნვა საკუთარ პიროვნებასა თუ ქონებაზე.

თუმცა არასრულწლოვნებსა და ქალებზე (იმპერიის შესახებ) მეურვეობა და წესდებოდა, ხოლო ცურა სულით ავადმყოფებზე, მფლანგველებზე, მცირებლოვნებზე, ავადმყოფებზე, ზოგჯერ არასრულწლოვნებზეც.

მცირებლოვანი პერსონა სუი იურის სრულწლოვანებამდე ქმედუუნარო იყო. ამის გამო, გარიგებებში მონაწილეობისათვის მას მეურვედ ზრდასრული მამაკაცი ენიშნებოდა, ხოლო სუი იურის ქალს (ასაკის მიუხედავად) ტუტელა მულიერუმ ენიშნებოდა.

იმისთვის, რომ მეურვეობაში მყოფ პირს იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება განეხორციელებინა, საჭირო იყო მეურვის თანხმობა და მის მიერ დამოწმებული აქტი.

მეურვეობის შეწყვეტის საფუძველები იყო: 1. საერთო საფუძველი იყო: სამეურვეო პირი გარდაცვლება, სრულწლოვნობის მიღწევა, პერსონა სუი იურის სტატუსს მოპოვება, ავადმყოფი სამეურვეო პირი გამოჯანმრთელება, მფლანგველის შემთხვევაში კი – მისი გამოსწორება; 2. მეურვის გარდაცვალება, მეურვის უფლების დაკარგვა (ასეთ შემთხვევაში ახალი მეურვე ინიშნებოდა); 3. სამეურვეო პირის გარდაცვალება, მეურვის უდირსი საქციელი (ინფამია).

#### 18. საკუთრების უფლების წარმოშობის გზები.

საკუთრების შეძენის საშუალებებია ოკუპაცია, ნაყოფი, გადამუშავება, განძი, ასევე საკუთრების შეძენა ხელშეკრულებით.

ოკუპაცია - იყო ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის ყველაზე ძველი და უნივერსალური საშუალება. ოცცუპატიო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ ნივთი არავისი კუთვნილება არ იყო. ოცცუპატიო შემდეგი საშუალებებით ხორციელდებოდა: а) გარეულ მხეცებზე, ფრინველებზე ნადირობა და ოვზაობა, б) მოწინაამდევისათვის წართმეული სამხედრო ნადავლი; გ) ზღვაში ამოზიდული კუნძული და ზღვის მიერ ნაპირზე გამორიყული ნივთები; დ) უწინდელი მესაკუთრის მიერ გადაგდებული ნივთები – ბეითალმანი ქონება.

განძი - თავდაპირველად განძი იმ მიწის ნაკვეთის ნამატად ითვლებოდა, რომელშიც ის იქნა აღმოჩენილი და მისი აღმოჩენი განძის მესაკუთრე ხდებოდა; თუმცა, იმპერატორ ადრიანეს რესკრიპტით (იუსტინიანემაც დადასტურა) დადგინდა

განძე არსებული საკუთრების უფლების თანაბარ წილად გაყოფა მის აღმომჩენ  
პირსა და იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის, სადაც განძი იქნა აღმოჩენილი.  
თუ განძი დაფლული იყო წმინდა ან რელიგიურ ადგილზე, ის მის აღმომჩენ პირს  
ეკუთვნოდა მთლიანად.

თუ რომელიმე პირი ქმნის ახალ ფორმას ან ახალ (ადრე არარსებულ) ნივთს  
(სპეციუმ ალიქუამ), სხვა პირისათვის მიკუთვნებული მასალისაგან, გლოსატორთა  
აზრით, ადგილი ჰქონდა ნივთის გადამუშავებას

საკუთრების შეძენა ხელშეკრულებით. საკუთრების გადაცემა დაიშვებოდა  
მხოლოდ იმ პირებს შორის, რომლებსაც, ხელშეკრულებებისა და გარიგებების  
გზით, ქონების შეძენისა და გასხვისების უფლება ჰქონდათ, ასევე ანდერძის ან  
კანონისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე.